მცირე სოფლებში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმების დანერგვა

შედეგების აღწერა და შეფასება

CLDN

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

მცირე სოფლებში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმების დანერგვა

შედეგების აღწერა და შეფასება

ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრი
იანვარი, 2017

გამოცემა მომზადებულია პროექტის „მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმების დანერგვა: მცირე სოფლების გამოცდილება“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ მიერ.

გამოცემაზე მუშაობდნენ: დავით ლოსაბერიძე, თიკო ტყეშელაშვილი, მერაბ ცინდელიანი

გამოცემაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ მოსაზრებებს.

პროექტის გუნდი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის ასლან ჭანიძეს, გიორგი ანდღულაძეს, სამიზნე სოფლების საინიციატივო ჯგუფის წევრებს, ასევე შუახევის და ახალციხის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოებს.

სარჩევი

შესავალი 3

პროექტის შესახებ 6

ოთხი შემთხვევის აღწერა – ზიკილია, წყრუთი, ცივაძეები, ზედაყანა 9

ძირითადი მიგნებები 16

რეკომენდაციები 19

© ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრი, 2017

შესავალი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“. თუმცა აღნიშნული უფლების და შესაძლებლობის გამოყენება ყველგან წარმატებით ვერ ხორციელდება.

დეცენტრალიზაციის პროცესში ერთ-ერთ გამოწვევას თვითმმართველობის განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი ხარისხი წარმოადგენს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს მმართველობის პროცესში კანონით გათვალისწინებული მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ დაბალი ინფორმირებულობით, სამოქალაქო ჩართულობის ფორმების მიმართ მოსახლეობის სკეპტიკური დამოკიდებულებით, მოქალაქეთა თვითორგანიზების გამოცდილების და ტრადიციის არქონით. არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტს და მოსახლეობას შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას. ამ მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ. მათ ძალისხმევას კონკრეტული შედეგები მოაქვს, თუმცა ეს არ არის საკმარისი ქვეყანაში ამ კუთხით არსებული სურათის შესაცვლელად.

საზოგადოებრივი განწყობის კვლევის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 77%-ს[1] ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია საზოგადოებრივ საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობა. ამასთან 53%[2] არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ არჩეული თანამდებობის პირს სწორი მიმართულებით

[1] NDI-CRRC-საქართველო: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2015 წლის ნოემბერი
[2] http://caucasusbarometer.org/ge/ns2015ge/ELLDRG/

მიჰყავს მათი ქალაქი/სოფელი და 12%[3] თვლის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულებას შედეგად არ მოაქვს მოქალაქეების რეალური გააქტიურება. სხვადასხვა წყაროს მონაცემები მმართველობით პროცესში ჩართული ადამიანების შედარებით მცირე რაოდენობაზე მიუთითებს.

მოქალაქეთა გამოკვეთილ უმრავლესობას (70.8%) არ მიუმართავს თვითმმართველობის რომელიმე ორგანოსათვის რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად ბოლო 2 წლის განმავლობაში. ამავე დროს თვითმმართველობის რომელიმე ორგანოსადმი მიმართვის საფუძველს ძირითადად წარმოადგენდა სოციალური საკითხები.[4]

თავად მოსახლეობის მოსაზრებაც ამას ადასტურებს. საჯარო ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით მდგომარეობას კარგად და ძალიან კარგად 29%[5] მიიჩნევს. საინტერესოა სოფლის დახმარების პროგრამაში ჩართული მოსახლეობის მაჩვენებელი. 2015 წელს – პროგრამის ამოქმედებიდან (2009) 6 წლის შემდეგ – სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 23% ადასტურებდა, რომ მონაწილეობა მიუღია მასში.

რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (90%–მდე) არ მიუღია მონაწილეობა ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა: საკრებულოს სხდომები, საჯარო შეხვედრები თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, პეტიციის შედგენა. ამავე დროს ღონისძიებებში მონაწილე პირთა კმაყოფილების დონე საშუალოა. უკმაყოფილება ძირითადად უკავშირდება ნიჰილისტურ განწყობას და ღონისძიებების ფორმალურ ხასიათს.[6]

მოქალაქეთა 60%-ის აზრით, მათი როლი თვითმმართველობის საქმიანობაში ძირითადად არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება (ამასთან აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 26.7% მიიჩნევს, რომ მერი/გამგებელი რე-

---

[3] http://caucasusbarometer.org/ge/ns2015ge/LCLGOVCHNG/

[4] ISSA: მოსახლეობის განწყობები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით, 2016 წლის თებერვალი-მარტი

[5] NDI-CRRC-საქართველო: საზოგადოებისგანწყობასაქართველოში, 2015 წლის ნოემბერი

[6] ISSA: მოსახლეობის განწყობები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით, 2016 წლის თებერვალი-მარტი

ალურად ამომრჩევლების წინაშეა პასუხისმგებელი). დადებითად უნდა შეფასდეს ფაქტი, რომ მიუხედავად ნიჰილიზმისა, 43% მიიჩნევს, რომ საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.[7]

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მიხედვით „მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს“ და რეალური პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შეუძლია უზრუნველყოს მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობის პროცესის განხორციელება. ამ პრინციპების გასამყარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში 2015 წლის ივლისში შევიდა ცვლილებები, რომლის საფუძველზე თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას ახალი ფორმები დაემატა და დაიხვეწა ძველი. შედეგად დაკონკრეტდა და დადგინდა მოქალაქეთა მიერ პეტიციის წარდგენის ახალი წესი და პროცედურები, განისაზღვრა საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოების ფუნქციები და ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებები, გაიზარდა იმ სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირისათვის. სიახლეს წარმოადგენს დასახლების საერთო კრების ფორმატი. თუმცა მისი რეალიზაცია ჯერ კიდევ აქტიურად არ არის დაწყებული. ამ ფორმების პრაქტიკაში გამოყენება მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების აქტივობაზეა დამოკიდებული.

წინამდებარე გამოცემა დაეფუძნა ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის პროექტის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოს, რომელიც მიზნად ისახავდა ოთხ სამიზნე სოფელში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმების დანერგვას.

[7] ISSA: მოსახლეობის განწყობები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით, 2016 წლის თებერვალი-მარტი

პროექტის შესახებ

მიზნები, მეთოდოლოგია და განხორციელებული საქმიანობა

პროექტი „მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმების დანერგვა: მცირე სოფლების გამოცდილება“ ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა 2016 წლის ივნის – 2017 წლის იანვრის განმავლობაში.

მისი მიზანი იყო თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდისა და კონკრეტული დასახლების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმების პილოტირება. მცირე დასახლებების მცხოვრებთა გააქტიურების, სათემო მობილიზაციისა და კონკრეტული პრობლემების ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გადაწყვეტის წარმატებული მაგალითების შექმნას და გავრცელებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეების მონაწილეობის მექანიზმების ეფექტური ამოქმედებისთვის.

საპილოტე პროექტის განხორციელება გათვალისწინებული იყო ოთხ მცირე სოფელში – ზიკილია და წყრუთი ახალციხის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთი), ხოლო ცივაძეები და ზედაყანა შუახევის მუნიციპალიტეტში (აჭარა).

სამიზნე დასახლებები

სამიზნე სოფელი	მუნიციაპლიტეტი	თემი	მოსახლების რაოდენობა	ოჯახების რაოდენობა
ზიკილია	ახალციხე	აგარა	421	120
წყრუთი		წყრუთი[8]	1194	310
ცივაძეები	შუახევი	ტაკიძეები	347	86
ზედაყანა		ჭვანა	193	46

დაგეგმილი იყო პროექტის სამ ეტაპად განხორციელება:

- პირველ ეტაპზე უნდა მომხდარიყო სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება და მათი ინფორმირება მონაწილეობის კანონმდებლობით

[8] შედარებით დიდი სოფელი წყრუთი შერჩეულ იქნა სამიზნე მცირე დასახლებებთან პარალელების გავლების მიზნით.

დადგენილ შესაძლებლობებსა და მუნიციპალიტეტის საქმიანობის პრინციპებზე. ამის შემდეგ სამიზნე სოფლების მოსახლეობას თავად უნდა გადაეწყვიტა, რომელი მექანიზმების გამოყენება იქნება მათ დასახლებაზე მორგებული.

- შემდეგ ეტაპზე გათვალისწინებული იყო შერჩეული სტრატეგიის იმპლემენტაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით ან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინიციატივების მეშვეობით.

- ბოლო ეტაპი გულისხმობდა პროექტის იმპლემენტაციის პროცესში მიღებული პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მხარეებისათვის.

პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა აქტივობები დაგეგმა ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის წევრ ორგანიზაციებთან (თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი – აჭარა; დემოკრატ მესხთა კავშირი – სამცხე-ჯავახეთი) ერთად. აღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ორგანიზებას უწევდნენ როგორც მოსახლეობასთან, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის პროცესს.

დაგეგმვის ეტაპზე პროექტის აქტივობებმა გარკვეული ცვლილება განიცადა. გადაწყდა, რომ მუნიციპალური ცენტრების ნაცვლად, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები უშუალოდ სამიზნე სოფლებში ჩატარებულიყო.

ტრენინგების პირველი რაუნდი ჩატარდა 21-22 ივნისს აჭარაში და 28-29 ივნისს სამცხე-ჯავახეთში. ტრენინგებმა და დისკუსიებმა მოსახლეობაში საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია, პროექტით გათვალისწინებული 28 ადამიანის ნაცვლად შეხვედრებს დაესწრო 69 მოქალაქე.

ტრენინგების შემდეგ დაიწყო სამუშაო შეხვედრების პროცესი. ნაცვლად 4 სამუშაო შეხვედრისა, ჩატარდა 12 სამუშაო შეხვედრა, როგორც სოფლის მცხოვრებლებთან, ისე ადგილობრივი ხელისუფლების (სამიზნე მუნიციპალიტეტების გამგეობები და საკრებულოები) წარმომადგენლებთან.

პროექტით დაგეგმილი იყო დასახლებებში არსებული პრიორიტეტული საკითხების გამოკვეთა აგვისტო-ოქტომბრის განმავლობაში და მომდევნო ეტაპზე შერჩეული პრობლემების მოგვარებაზე თემთან ერთად

მუშაობის დაწყება. მოსახლეობის აქტივობამ გარკვეულწილად შეცვალა პროექტის განრიგი. მაღალმთიან აჭარაში საინიციატივო ჯგუფებმა, იურიდიული ნორმების სრული დაცვით, უკვე ივლისის ბოლოს მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას დასახლების საერთო კრებების ჩატარების მოთხოვნით.

პროცესის მიმართ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოხატა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. შუახევის გამგეობამ დაიწყო მოლაპარაკება კომერციულ სტრუქტურებთან (აჭარისწყალის ჰესების მშენებელი ნორვეგიული კომპანია) საშენი მასალით სოფლების დახმარების საკითხებზე და მათგან წინასწარი თანხმობა მიიღო. ამავე დროს როგორც შუახევის, ისე ახალციხის გამგეობებში დაიწყეს სამიზნე სოფლებში განსახორციელებლი პროგრამების გადახედვაც, მათი უფრო ეფექტური დაგეგმვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში პროცესში ჩაერთო საკრებულოების ფრაქციებიც. როგორც მმართველი (ქართული ოცნება), ისე ოპოზიციური პარტიების (ნაციონალური მოძრაობა, თავისუფალი დემოკრატები) ესწრებოდნენ დასახლების საერთო კრებებს. პროექტის გუნდმა, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პროექტი ამას არ ითვალისწინებდა, მიიღო მონაწილეობა ასეთი ტიპის ორ შეხვედრაში შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

პროექტის საქმიანობისადმი პოზიტიური ინტერესი, ადგილობრივი ხელისუფლების გარდა, გამოხატა აჭარის მთავრობამაც, რომელთანაც შედგა პროექტის გუნდის თანამშრომლობა. გარდა ამისა, მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტების გამგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რამდენიმე სხვა სოფლის წარმომადგენლებმა მოითხოვეს მათთან ანალოგიური აქტივობების დაგეგმვა.

ოთხი შემთხვევის აღწერა

სოფელი ზიკილია

ახალციხის მუნიციაპლიტეტი, სამცხე-ჯავახეთი

სოფლის დახასიათება

სოფელი შედის აგარის თემში, სადაც 5 სოფელია გაერთიანებული: აგარა, გურკელი, ზიკილია, საყუნეთი, წინუბანი. სოფლების მოსახლეობის 99% ეთნიკური ქართველია. სოფელში 421 მოსახლე და 120 ოჯახია (2013 წლის მონაცემებით). მდებარეობს თბილისი-ახალციხის დამაკავშირებელი მაგისტრალის მიმდებარედ. მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია ქალაქ ახალციხეში.

სოფელს არ ჰქონდა პრობლემაზე ერთობლივი რეაგირების გამოცდილება. უძნელდებოდა საერთო სასოფლო პრობლემების იდენტიფიცირება და პრიორიტეტიზაცია.

ადგილობრივების თქმით, სოფელში ხორციელდება ის პროექტები, რომელიც თავად მუნიციპალიტეტის მიერ არის დაგეგმილი. თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა შემოიფარგლება ინდივიდუალურ დონეზე საკრებულოსთან ან გამგეობასთან ურთიერთობით. არ გამოყენებულა ჩართულობის არანაირი ფორმა. მათთან არ უმუშავია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ან მოსახლეობა ვერ ასახელებს ასეთ შემთხვევებს).

სოფელში განხორციელებული საქმიანობა

2016 წლის 28 ივნისს შედგა პროექტის გუნდის შეხვედრა მოსახლეობასთან, რომელსაც ესწრებოდა გამგებლის წარმომადგენელი აგარის თემში. შეხვედრაზე მოსახლეობას განემარტა თვითმმართველობაში ჩართულობის მექანიზმები, ასევე მათი ამოქმედების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები და შესაძლებლობები. მიეწოდათ ინფორმაცია, რომ შესაძლებელია სოფელში არსებული პრობლემების, ასევე მათი გადაჭრის გზების თვითმმართველობის ორგანოებისთვის მიწოდება, რომელიც ვალდებული იქნებიან მოსახლეობის წინადადებზე იმსჯელონ და გაითვალისწინონ პროგრამების დაგეგმვაში.

შეხვედრაზე გადაწყდა შექმნილიყო საინიციატივო ჯგუფი და ჩატარდებულიყო დასახლების საერთო კრება, რომელიც გამოავლენდა სოფელში არსებულ პრიორიტეტულ პრობლემებს. მათი აქტუალურობიდან გამომდინარე კრება მიმართავდა მუნიციპალიტეტის გამგეობას საკითხის მოგვარების მოთხოვნით.

შეხვედრის შემდგომ, პროექტის გუნდმა ყველა საჭირო დოკუმენტის შაბლონი მოამზადა (კრების ოქმი, მიმართვა გამგებლის სახელზე და სხვა) და საინიციატივო ჯგუფს მიაწოდა.

საინიციატივო ჯგუფის მიერ ვერ მოხერხდა საერთო კრების ჩატარების ორგანიზება. ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზი კანონმდებლობით განსაზღვრული კვორუმი გახდა. ვერ მოხერხდა სოფლის მაცხოვრებელთა საჭირო რაოდენობის შეკრება კრებაზე დასასწრებად. ამასთანავე შეკრებილებს შორის ვერ მოხერხდა ერთიან პოზიციაზე ჩამოყალიბება და პრობლემების პრიორიტეტულობაზე შეთანხმება.

პროექტის გუნდის და საინიციატოვო ჯგუფის სამუშაო შეხვედრების შედეგად გადაწყდა, რომ სოფელის მაცხოვრებელთა აქტიური ნაწილი შეჯერდებოდა საერთო პრობლემაზე და პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მუნიციპალიტეტს საერთო წერილით მიმართავდა.

საინიციატივო ჯგუფის მიერ 25 ნოემბერს მომზადდა საერთო წერილი (64 ხელმოწერა), რომლითაც მოსახლეობა ადგილობრივ ხელისუფლებას თხოვდა სოფლის პროგრამით შეკეთებული „სოფლის სახლისათვის“ საჭირო ავეჯის შეძენას. შედეგად მოსახლეობას საშუალება ექნებოდა შეკრებილიყო სოფელში არსებულ პრობლემებზე სამსჯელოდ; ასევე ჩაეტარებინა შეხვედრები როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

პარალელურად „ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრს“ და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი (24 ნოემბერი), რომლის მიხედვითაც ცენტრმა ვალდებულება აიღო სოფლის სახლისთვის მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი კომპიუტერული ტექნიკა შეეძინა, ხოლო გამგეობას მოთხოვნილი ავეჯი (სკამები, მაგიდები, კარადები, წიგნები).

2016 წლის ბოლოსათვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაასრულა სოფლის სახლის კეთილმოწყობა. ხოლო 2017 წლის 11 იანვარს ცენტრის წარმომადგენლებმა კომპიუტერი და პროექტორი გადასცეს ახალციხის თემის მუნიციპალიტეტს ზიკილიას ახალგაზრდული ცენტრისათვის გადასაცემად.

სოფელი წყრუთი

ახალციხის მუნიციპალიტეტი, სამცხე-ჯავახეთი

სოფლის დახასიათება

წყრუთის თემის საკრებულოში წყრუთთან ერთად ორი სოფელი – წირა და მიქელწმინდა შედის. სამივე სოფელი დასახლებულია ეთნიკური სომხებით. სოფელში 1194 მოსახლე და 310 ოჯახია.

სოფლის მაცხოვრებლებს აქვთ მობილიზების, საერთო პრობლემის გამოვლენის და პრობლემების პრიორიტეტებად დასახვის უნარი, ასევე საქმის ერთობლივად კეთების გამოცდილება. ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობა ძირითადად სოფელში გამგებლის რწმუნებულთან ხშირი კონტაქტით შემოიფარგლება. არ გამოყენებულა კანონით გათვალისწინებული ჩართულობის სხვა მექანიზმი.

სოფელში განხორციელებული საქმიანობა

პროექტის ფარგლებში სოფელ წყრუთში 29 ივნისს ორგანიზებული სათემო შეხვედრისას განხილული იყო თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები. შეხვედრაზე სოფელი შეთანხმდა პრიორიტეტულ საკითხზე. გადაწყდა მუნიციპალიტეტისათვის მიემართათ შიდა სასოფლო გზის (ე.წ. „თენგოზინ პაირე“) შეკეთების მოთხოვნით, რომელიც სოფელს სკოლასთან, სასაფლაოსთან და სასოფლო სავარგულებთან აკავშირებს. სოფლის მცხოვრებლებმა გამოთქვეს მზადყოფნა ფიზიკურად შეესრულებინათ სამუშაოები, თუ მუნიციპალიტეტი და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია ტექნიკითა და სამუშაოებისათვის საჭირო მასალებით აღმოუჩენდა დახმარებას. ადგილობრივები ასევე მზად იყვნენ გარკვეული ფინანსური წვლილიც შეეტანათ აღნიშნული გზის რეაბილიტაციაში.

სოფლის საერთო კრების ჩატარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა სოფლის მაცხოვრებელთა დიდი ოდენობის გამო. ვერ მოხერხდა კრების ლეგიტიმაციისთვის საჭირო მოსახლეობის 20%-ის დასწრების უზრუნველყოფა. ამის შემდეგ გადაწყდა მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის მომხდარიყო საერთო წერილით მიმართვა. 26 ივლისს მომზადდა წერილი მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე. ამის შემდეგ კი დაიგეგმა შეხვედრა საინიციატივო ჯგუფს, გამგებელს და პროექტის გუნდს შორის. ამავდროულად ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრმა გამგეობას საგარანტიო წერილით დაუდასტურა მზაობა, მოეხდინა მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი საქმიანობის თანადაფინანსება.

სამუშაო პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა და იმ გარემოებამ, რომ მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე არ ჰქონდა გარკვეული 2017 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები.

24 ნოემბერს გაფორმდა მემორანდუმი ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრს შორის, რომლის მიხედვითაც: მუნიციპალიტეტმა ვალდებულება აიღო, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნული გზის მონაკვეთის რეაბილტაციის ხარჯებს 2017 წლის ბიუჯეტში. ადგილობრივი ხელისუფლება ასევე გამოყოფდა ტექნიკას, შეისყიდიდა გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო ინერტულ მასალას და ცემენტს. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მხრიდან მოხდა რეაბილიტაციისათვის საჭირო მინაბოჭკოვანი არმატურის შესყიდვა და სოფლისთვის გადაცემა. მოსახლეობა თავის მხრივ ფიზიკურად იმუშავებს გზის რეაბილიტაციაზე. მოსახლეობას არ მოუწევს დამატებითი ფინანსური რესურსის გაღება გზის რეაბილტაციაზე, რადგან მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა სრულად მოახდინოს დამატებითი მასალის შესყიდვა. შედეგად მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი 110 მეტრიანი მონაკვეთის ნაცვლად მოხდება გზის სრული შეკეთება (175 მეტრი).

ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრმა მემორანდუმის პირობების თანახმად, შეიძინა სპეციალური არმატურა და 2017 წლის 11 იანვარს გადასცა ადგილობრივ თვითმმართველობას სოფელ წყრუთის აღნიშნული გზის რეაბილიტაციისთვის.

სოფელი ცივაძეები

შუახევის მუნიციპალიტეტი, აჭარა

სოფლის აღწერა

სოფელი შედის ჭვანას თემში. სოფელში 347 მოსახლე და 86 ოჯახია.

სოფელ ცივაძეებს არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთობლივად ადგილობრივ თვითმმართველობასთან საქმიანი ურთიერთობის დადებითი გამოცდილება აქვს. აქედან გამომდინარე სოფელში ჩამოყალიბებული არის საინიციატივო ჯგუფი, აქვთ მობილიზების და პრობლემებზე ერთობლივი რეაგირების გამოცდილება და უნარი.

სოფელში განხორციელებული საქმიანობა

21 ივნისს შედგა შეხვედრა სოფლის მოსახლეობასა და პროექტის გუნდს შორის, სადაც განიხილა ჩართულობის ძველი და ახალი ფორმები, თითოეულის სპეციფიკა და სამართლებრივი მოთხოვნები. გამოცდილების გამო სოფლის საინიციატივო ჯგუფმა იოლად მოახერხა იმ პრობლემის გამოკვეთა, რომელზეც პროექტის გუნდთან ერთად იმუშავებდნენ – სოფლის შიდა გზის განსაკუთრებით საშიშ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება. გადაწყდა დასახლების საერთო კრების ჩატარება და რჩეულის არჩევა. აღინიშნა, რომ სოფლის მოსახლეობა მზად იყო თანამონაწილეობა მიეღო ფიზიკური შრომით შერჩეული პრობლემის მოგვარებაში.

საინიციატივო ჯგუფის პროექტის კოორინატორთან ხშირი კონსულტაციებით, ადგილობრივი კოორდინატორის გამგეობასთან ადვოკატირებით 2016 წლის 29 აგვისტოს ჩატარდა სოფელ ცივაძეების საერთო კრება იურიდიული პროცედურების სრული დაცვით (კრების ჩატარებას წინ უძღოდა 26 აგვისტოს გამართული სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა კრების პროცედურული საკითხები). კრებაზე არჩეული იქნა რჩეული და კრების გადაწყვეტილებით სოფელმა მიმართა გამგეობას გზის აღდგენაში დახმარების მოთხოვნით.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური დახმარებით სოფლის მოსახლეობამ შეიძინა 12,5 ტონა ცემენტი. გამგეობის შუამდგომლობით სოფელმა მიიღო ლიცენზია მდინარე აჭარისწყლიდან საჭირო ინერტული მასალის ამოსაღებად. მდინარიდან ამოიღეს 40

კუბური მეტრი ინერტული მასალა, ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანხა – 150 ლარი შეაგროვა სოფელმა.

შეძენილი მასალით და სოფლის ყველა ოჯახიდან თითო წარმომადგენლის შრომითი ჩართულობით განხორციელდა სოფლის შიდა გზის 110 მეტრიან ავარიულ მონაკვეთზე 18 სმ. სიმაღლის ბეტონის საფარის დაგება.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობის აქტივობა შემდეგ ეტაპზე პროექტისაგან დამოუკიდებლად წარიმართა. საინიციატივო ჯგუფმა, რჩეულთან ერთად, გადაწყვიტა გაეგრძელებინათ მუშაობა გზის რეაბილიტაციაზე. სექტემბერში, 105 მეტრიანი მონაკვეთის დაგების შემდეგ, პროექტის მხრიდან ინიცირების გარეშე, ჩატარდა მეორე საერთო კრება, რომელსაც დაესწრო შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ტაკიძეების თემის რწმუნებული. საერთო კრებამ თხოვა მუნიციპალიტეტს გამოეყოთ დამატებითი დაფინანსება სოფლის გზის რეაბილიტაციისთვის, რომელიც მოიცავდა განსაკუთრებით საშიშ მონაკვეთზე გაბიონების მშვნებლობას, გზაზე არსებული კლდოვანი მასისს მოჭრას და გზის საფარის დაგებისთვის საჭირო თანხებს. საინიციატივო ჯგუფს ყოველ ეტაპზე უწევდა კონსულტაციებს პროექტის გუნდი.

2016 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 133 000 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში დაიგო ცემენტის საფარის 110 მეტრიანი მონაკვეთი, ჩამოისხა გაბიონები და მოიჭრა გზაზე არსებული კლდოვანი მასა.

სოფლის მოსახლეობამ ნოემბერში მიმართა განცხადებით შუახევის მუნიციპალიტეტს და მოითხოვა გზაზე კლდოვანი მასის მოჭრის საქმიანობის ხარისხის შესწავლა. რადგან მოსახლეობის აზრით, კლდის მოჭრა უხარისხოდ იყო ჩატარებული. მუნიციპალიტეტმა განცხადების საფუძველზე შეისწავლა ჩატარებული სამუშაოები და კომპანიას მისცა გაფრთხილება და დაავალა სამუშაოების სრულყოფა.

სოფელი ზედაყანა

შუახევის მუნიციპალიტეტი, აჭარა

სოფლის აღწერა

სოფელი შედის ჭვანას თემი. მასში 193 მოსახლე და 46 ოჯახია.

სოფელ ზედაყანის მოსახლეობას აქვს ერთობლივად საერთო სასოფლო საქმის კეთების, მობილიზების გამოცდილება. ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა შემოიფარგლება გამგებლის თემში რწმუნებულთან კონტაქტით და მუნიციპალურ ორგანოებთან პირადი სახის საკითხების ინდივიდუალურად გარკვევით.

სოფელში შესრულებული საქმიანობა

სოფელ ზედაყანაში მოვლენები განვითარდა სოფელ ცივაძეების ანალოგიურად.

პროექტის საქმიანობისათვის დადებითი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ სოფელ ზედაყანის მოსახლეობა ინფორმირებული იყო სოფელ ცივაძეების არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის დადებითი გამოცდილების შესახებ. ამის შედეგად პროექტის გუნდის მიერ 22 ივნისს ჩატარებულ პირველივე შეხვედრაზე ჩამოყალიბებული საინიციატივო ჯგუფი მზად იყო აქტიურად ეთანამშრომლა პროექტის ფარგლებში.

27 აგვისტოს პროექტის გუნდმა საინიციატივო ჯგუფთან ერთად სამუშაო შეხვედრაზე დაგეგმა სოფლის კრების ჩატარების პროცედურები. 29 აგვისტოს ჩატარდა სოფლის საერთო კრება, არჩეული იქნა კრების რჩეული.

კრებაზე სოფლის პრიორიტეტებთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი ალტერნატივა – სასმელი წყალი და შიდა გზა. სოფელმა, პირველ ეტაპზე, არჩევანი გააკეთა შიდა გზების სასარგებლოდ. კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად იყვნენ ფიზიკურად ემუშავათ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე და ამავე დროს მოეხდინათ შერჩეული პროგრამის მცირედი თანადაფინანსება.

პროექტის გუნდთან და გამგეობასთან თანამშრომლობით სასოფლო გზის მონაკვეთზე სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში დაიგო ბეტონის საფარი.

ცივაძეებისგან განსხვავებით ზედაყანის რჩეულს და საინიციატივო ჯგუფს მეორე კრება ჯერ არ ჩაუტარებიათ.

ძირითადი მიგნებები

- **სათემო მობილიზაცია მარტივია მცირე დასახლებებში.** ცივაძეებსა და ზედაყანაში, სადაც დანარჩენ სამიზნე სოფლებთან შედარებით ნაკლებია მოსახლეობის რაოდენობა, გაცილებით მარტივად მოახერხა დასახლებამ საერთო კრების ჩატარება კანონით განსაზღვრული ყველა პოცედურების დაცვით და პრიორიტეტულ საკითხზე შეთანხმება.

  შედარებით დიდ დასახლებებში ძალიან რთულია ლეგიტიმაციის მქონე საერთო კრების ჩატარება, რომელსაც დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის 20% დაესწრება. მცირე დასახლებასთან შედარებით რაოდენობრივად მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილის მობილიზება და დათქმულ დროს შეხვედრაზე დასწრების უზრუნველყოფა არის რთული. ამას გარდა სოფლებში, ხშირ შემთხვევაში, არ ცხოვრობს დარეგისტრირებულ მოსახლეთა გარკვეული ნაწილი. შესაბამისად საინიციატივო ჯგუფის პირველი ძალისხმევა შეიძლება უშედეგოდ დასრულდეს, რაც შემდგომი მცდელობების ალბათობას ამცირებს.

  ტერიტორიის და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დიდი დასახლებების შემთხვევაში ასევე გაძნელებულია საერთო, დასახლების დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვან პრობლემაზე შეთანხმება. იმ შემთხვევაში, თუ სოფელს არაფორმალური ლიდერი ყავს, მაშინ სოფელი დიდი ალბათობით მხარს დაუჭერს იმ საკითხს, რომელსაც ეს ადამიანი ემხრობა.

- **თვითმმართველობის ორგანოებს და მოსახლეობას შორის თანამშრომლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს დასახლებისთვის.** სათემო მობილიზაციის შედეგად ინიცირებული პროექტების წარმატებისთვის მნიშვნელოვანია თვითმმართველობასთან აქტიური კონტაქტი და თანამშრომლობა (ეს გულისხმობს, მაგალითად, კრების ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნიმუშების მომზადებას, თუ შესაბამის მუნიციპალიტეტში ასეთი მასალა არ არის მომზადებული). უნდა მოხდეს თვითმმართველობასთან თემის პრობლემების ადვოკატირება ყველა ხელმისაწყდომი არხით. ამ მხრივ მოსახლეობამაც უნდა იაქტიუროს. ამავე დროს არსე-

ბობს მდგრადი კომუნიკაციის უზრუნველყოფის დამატებითი გზა. დასახლების საერთო კრებაზე რჩეულის არჩევის[9] შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებული იქნება წელიწადში ორჯერ მაინც სოფლელში ჩაატაროს დასახლების საერთო კრება. ეს ფორმატი კონკრეტულ დასახლებას საშუალებას აძლევს ინსტიტუციონალური ურთიერთობა ჩამოუყალიბდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ასევე, დროთა განმავლობაში, პრობლემის არსის ჩამოყალიბებისა და ადვოკატირების უნარებს განუვითარებს მის წარმომადგენლებს.

- **საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება აუცილებელია.** აუცილებელია დასახლებაში ჩამოყალიბდეს საინიციატივო ჯგუფები. ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც სოფელი ნდობას უცხადებს, აქვთ გარკვეული კომპეტენცია იმსჯელონ სოფლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.) და ასევე სურვილი, დრო დაუთმონ საერთო პრობლემების მოგვარებას.

  სასურველია საინიციატივო ჯგუფი მუდმივად არსებობდეს, თუმცა შემადგენლობა შესაძლებელია იცვლებოდეს. ჯგუფმა უნდა შეძლოს მუშაობის გაგრძელება არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშეც. ამის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სათემო მობილიზაციის დადებითი გამოცდილების შექმნა. ცივაძეების და ზედაყანის გამოცდილება ამის ნათელი მაგალითია.

- **მნიშვნელოვანია თანამონაწილეობის და თანადაფინანსების უზრუნველყოფა.** ზიკილიას და წყრუთის შემთხვევაში აღსანიშნავია სამმხრივი შეთანხმების მიღწევის და თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მნიშვნელობა. ერთი საკითხის გარშემო მოსახლეობის, ადგილობრივ ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანზიაციის ძალისხმევის გაერთიანების შედეგად შესაძლებელი გახდა სოფლისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივის განხორციელება.

  სათემო მობილიზების და თემის ჩართულობის დადებითი პრეცენდენტის შესაქმნელად მნიშვნელოვანია დასახლებას ჰქონდეს თუნ-

[9] კოდექსის მიხედვით რჩეულის არჩევა არ შეიძლება გამგეობის მიერ ინიცირებულ საერთო კრებაზე.

დაც მცირე თანადაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლებიდან, დონორი და/ან არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ასეთ შემთხვევაში იზრდება სხვადასხვა აქტორის ჩართულობის ალბათობა და დამატებითი რესურსის მოზიდვის საშუალება.

სამიზნე სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობა ფიზიკური შრომით თანამონაწილეობისთვის მზად იყო. მათთვის უფრო პრობლემური იყო ფინანსური რესურსის მობილიზება სოფლის მაცხოვრებელებს შორის (წყრუთის გარდა). შესაბამისად მხარდაჭერა გარედან ადგილობრივებს სტიმულს აძლევს გაერთიანდნენ კონრეტული პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა წყრუთის და ზიკილიას მაგალითმა ასევე აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან შეთავაზებული თანადაფინანსების მიუხედავად, სოფლის მოსახლეობის 20%-მა ვერ შეძლო საერთო კრებაზე დასწრება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის შედარებით მცირე, აქტიურმა ნაწილმა შეძლო ამ შესაძლებლობის გამოყენება მათი აზრით სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხის მოსაგვარებლად. მიღებული შედეგის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია თემის მხრიდან შეიქმნას დამოკიდებულება, რომ თავად არის აქტიურად ჩართული პროცესში და „სხვა“ არ უკეთებს საქმეს.

რეკომენდაციები

მოქალაქეების ჩართულობაზე მომუშავე და მონაწილეობის მექანიზმების დანერგვით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, დონორებს, ასევე ადგილობრივ თემებს და ხელისუფლებას

ჩართულობის მექანიზმების ეფექტურად ამუშავებას შეუძლია გადაჭრას საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების ნაწილი. მოქალაქეთა ჯგუფებისა და ადგილობრივი ხელისუფლების პარტნიორობის ინსტიტუციონალიზებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობის დადებითი გამოცდილების არსებობას.

გთავაზობთ პროექტის – „მცირე სოფლებში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმების დანერგვა“ განხორციელების პერიოდში გამოკვეთილი მიგნებების საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს:

- ინფორმირებულობა წარმოადგენს მოქალაქეების მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას. მნიშვნელოვანია მოქალაქეების და თვითმმართველობის მოხელეთა ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ მექანიზმებთან, ისე მათი დანერგვის პრაქტიკასთან დაკავშირებით.

- თემში მუშაობის დაწყებისას სასურველია შეიქმნას „სოფლის პასპორტი“, რომელშიც თავმოყრილი იქნება დასახლების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ეს მონაცემები საშუალებას მისცემს ამ დასახლებაში მუშაობით დაინტერესებულ ყველა მხარეს გაერკვეს ადგილობრივ კონტექსტში, სწორად განსაზღვროს მიზნები და დაგეგმოს აქტივობები.

- თუ სოფელში არ არის უკვე ჩამოყალიბებული საინიციატივო ჯგუფი ხელისუფლებასთან, არასამთავრობო ან დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გამარტივების მიზნით ასეთი ჯგუფი სასურველია შეიქმნას. ეს ჯგუფი უნდა გახდეს დასაყრდენი როგორც დასახლებისთვის, ისე გარე აქტორებისთვის მომავალი ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებისას.

- სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების ამოქმედების საწყის ეტაპზე კონსულტაციებით მხარდაჭერა სჭირდება სოფლის საინიციატივო ჯგუფს შესაბამისი გამოცდილების მქონე მოქალაქეებისა და/ან არა-

სამთავრობო ორგანიზაციებისგან. მათი პრაქტიკული გამოცდილება და „ნასწავლი გაკვეთილები“ თემს თავიდან აარიდებს შეცდომებს და პროცედურულ ხარვეზებს, შემატებს მას თვითდაჯერებულობას. შედეგად გაიზრდება პირველი მცდელობის წარმატების შანსი, რაც დადებით გავლენას მოახდენს დასახლებაში მოქალაქეების შემდგომ გააქტიურებაზე.

- ადგილობრივი პრობლემის მოგვარების განხილვისას გასათვალისწინებელია ყველა ხელმისაწვდომი რესურსი – ადამიანური, ბუნებრივი, ფინანსური – საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) ფორმით. მაგალითად, სამიზნე დასახლების ახლოს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების (ჰესების, სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა და ა.შ) არსებობა. თანამშრომლობის მრავალმხრივი ფორმატი ხელს შეუწყობს განხორციელებული სათემო ინიციატივის წარმატებას და დადებითი გამოცდილების შექმნას, რაც, თავის მხრივ, სტიმულს მისცემს განვითარებაზე მიმართული სხვა პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას. მნიშვნელოვანია თემის, თვითმმართველობის ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო სექტორის კოორდინაცია და თანამშრომლობა. ეს მნიშვნელოვნად გაამარტივებს საერთო ინტერესების მქონე აქტორების იდენტიფიცირებას და კონკეტული პროექტები ხელს შეუწყობს ეფექტიანობისა და ეფექტურობის ხარისხის გაზრდას.

- მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო და დონორმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ყურადღება მიაქციონ იმ დასახლებებს, რომლებშიც არ განხორციელებულა სახელმწიფოს გარდა სხვა დამატებით პროგრამები. ხშირად ასეთი დასახლებები მცირერიცხოვანია და ბენეფიციარების სიმცირის გამო ვერ ხვდება სხვადასხვა ორგანიზაციის სამიზნეებს შორის.

- ადგილობრივმა ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ სოფლებს შორის თანამშრომლობას, განსაკუთრებით საერთო პრობლემების მოგვარების, ასევე გამოცდილების გაცვლის მიზნით. მნიშვნელოვანი იქნება იმ დასახლების გამოცდილების გავრცელება და გაზიარება, რომელმაც შეძლო დასახლების საერთო კრების ჩატარება და/ან პეტიციის წარდგენა და ამ გზით (საინიციატივო ჯგუფების, მრჩეველთა საბჭოების და სხვა მექანიზმების გამოყენებით) საკუთარი პრობლემების მოგვარების წარმატებით ადვოკატირება.

*“ადგილობრივი თვითმმართველობა
არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს
მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით,
საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ
ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები”.*

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი